ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 მარტი, კვირა, 1990 წ.
№ 44 (10 213) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრესაში გამოქვეყნდა „თანამედროვე ეტაპზე საქართველოს პროფკავშირთა საქმიანობის კონცეფცია“. კონცეფციის მესამე თავში ჩამოთვლილ ღონისძიებათა შორის ვკითხულობთ, რომ პროფკავშირები იბრძვიან:

„მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ცხოვრების ჯანსაღი წესის ყოველმხრივი განვითარებისათვის, კულტურული და სპორტული დელეგაციების, აგრეთვე საზღვარგარეთის პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების ტურისტული ჯგუფების გაცვლისათვის, ურთიერთხარგებლიანობის საფუძველზე კონტაქტების დამყარება-განმტკიცებისა და ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერისათვის“.



ქართული ჭიდაობა, ჩვენი ეროვნული საგანძური და სიამაყე, ძველად, მაგრამ მაინც იკვლევს გზას საერთაშორისო სარბიელისაკენ. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სპორტსახაკომს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სპონსორებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ჩვენი უძველესი და ხალხის ცხოვრების წიაღიდან აღმოცენებული რაინდული სპორტის სახეობის პოპულარიზაციისათვის (იხ. მე-2 გვ.).

ასეთია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა

დღეს პირველად ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა, რომელიც შეიქმნა ხეოკ-ის ემბლემის საუკეთესო პროექტზე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციისა და საქართველოს მშვიდობის ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად.

სპეციალურად შექმნილმა საექსპერტო კომისიამ კონკურსზე წარმოდგენილი 100-მდე ნამუშევრიდან ექვსი საუკეთესო პროექტი შეარჩია. ხეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ ექვსივე ავტორი — ვალერი ბახტაძე, ნატა ბუაჩიძე, თენგიზ გოგოლაშვილი, როლანდ მარგალიტაძე, ბესო პოპიაშვილი და თემურ ხმალაძე — დაჯილდოებულიყო წამახალისებელი პრემიით — 200 მანეთით თითოეული.

შემდეგ ხაექსპერტო კომისიის რეკომენდაციით ხეოკ-ის აღმასკომმა ორ ავტორს — ნატა ბუაჩიძესა და თემურ ხმალაძეს — შესთავაზა მათი ნამუშევრების შეერთების საფუძველზე ერთობლივი პროექტის შექმნა, რაც ერთ-ერთი ავტორის მიზეზით ვერ მოხერხდა. კონკურსის შედეგების შეჯამებაც ამის გამო გაჭიანურდა. საბოლოოდ, 21 თებერვალს ხეოკ-ის ემბლემად დამტკიცდა თემურ ხმალაძის პროექტის დახვეწილი ვარიანტი, რომელიც მან ხაექსპერტო კომისიისა და ხეოკ-ის აღმასკომის რეკომენდაციით შექმნა. თუ წამახალისებელ პრემიასაც ჩავთვლით, თემურ ხმალაძე 2000 მანეთს მიიღებს ჯილდოდ.

თემურ ხმალაძე — ხეოკ-ის ემბლემის ავტორი

დაიბადა 1954 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. 1973-1978 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის ინტერიერის განყოფილებაზე. ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი.

აკადემიის დამთავრებისთანავე თემურ ხმალაძე მიიღეს საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა კავშირის წევრად. იგი აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა — მიღებული აქვს მონაწილეობა რამდენიმე რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენაში. ამჟამად მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ორსერიიან მხატვრულ ფილმზე „უძინართა მზე“ (თემურ ბაბლუანი).

— ესკიზი რომ ნახა, ბაბლუანმა იმ წუთში მითხრა, შენ გაიმარჯვებო, — ამბობს თემური.

● **რამდენიმე სიტყვით გვიამბეთ ხეოკ-ის ემბლემაზე.**

— ხუთი ოლიმპიური რგოლი წინასწარ იყო მოცემული, როგორც აუცილებელი. რგოლების ფორმაც და ფერებიც დიდი ხნის დადგენილია. თუმცა ჩემმა კოლეგამ ნატა ბუაჩიძემ რგოლების მეტად ორიგინალური ვარიანტი შემოგვთავაზა. რაც შეეხება ემბლემის მეორე — „ნებისმიერ“ — ნაწილს, ალბათ ახსნაც არ სჭირდება, რომ ეს არის ბორჯღალი — უძველესი ქართული ორნამენტი და სიმბოლო მზისა, მარადიული მოძრაობისა. მე შევეცადე, ემბლემა რაც შეიძლება ლაკონიური ყოფილიყო.

● **ეს თქვენი პირველი ცდა ემბლემაში?**

— არა. ჩემი რამდენიმე ემბლემა თუ სავაჭრო ნიშანი უკვე ფართოდ გავრცელდა. მაგრამ ისინი კველა სავაჭრო-სამრეწველო პალატის შეკვეთით გავაკეთე. ეს კონკურსი პირველი იყო ჩემთვის.

● **რა შეიძლება ინატროს კაცმა კონკურსში გამარჯვების შემდეგ?**

— სანატრელს რა გამოლევს. ამ წუთში კი ვინატრებდი, რომ სეოკ-ი რაც შეიძლება მალე გახდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი და მისი ემბლემა ოლიმპიურ ენციკლოპედიაში შეიტანონ ათეულობით სხვა ქვეყნის ოლიმპიურ ემბლემათა გვერდით.

გიორგი ჯორჯაძე.

მასალები მომზადებულია გაზეთ „სამშობლოს“ მიერ

პირველად რესპუბლიკაში — თქვენთვის, ვაულიჯვრელებო!

„შევარდენის“ სიტყვას საქმე მოჰყვა

მკითხველებმა იციან, რომ სულ ახლახან 118-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორამ და „ლელოს“ რედაქციამ გამოიჩინეს თაოსნობა, რომ ვაშლიჯვარში ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე ამ კორპუსისათვის გამოყოფილი სათავსების გაერთიანებით მოსახლეობისთვის მოეწყოს სპორტული დარბაზი და საჭადრაკო კუთხი. შემდეგ ისიც გაუწყეთ, რომ თაოსნობას გამოეხმაურა და პრაქტიკული დახმარების სურვილი გამოთქვა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკურმა საბჭომ და ამ საბჭოსთან არსებულმა სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკურმა ფონდმა. სიტყვას უმალვე მოჰყვა საქმე — სასწრაფოდ გაკეთდა პროექტი, შედგა ტექნიკური დოკუმენტაცია — იმას, რასაც ჩვეულებრივ ბიუროკრატულ ორგანიზაციებში თვეებს ანდომებენ, როგორც ვხედავთ, ორ დღეში გადაწყდა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა არქიტექტორს, „შევარდენის“ საპროექტო ბიუროს ხელმძღვანელს, ტარიელ სვანიძეს, რომელიც ახლა ახალი გამაჯანსაღებელი კერის ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე მუშაობს.

შჭმადგენლობა აპრილში გაირკვევა

აპრილში თბილისში გაიმართება ჭაბუკთა საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში და საბოლოოდ აქ დაკომპლექტდება გუნდი, რომელიც შემდეგ ევროპის პირველობაში იასპარეზებს. მანამდე კი ერასნოდონის ხალიჩაზე გაიმართა ერთ-ერთი შესარჩევი ტურნირი. ჩვენი მოჭიდავეები იქ ურიგოდ არ გამოსულან, მათ დაიკავეს სამი მეორე და ორი მესამე ადგილი.

მეორე ადგილებზე გავიდნენ: ალექსანდრე ბოლქვაძე (52 კგ), მოსე ჯანელიძე (57, ორივე — „მართვე“) და უშანგ ქობელოვი (100 კგ, „მართვე“; ასკ), მესამეზე — თენგიზ რზგოიანი (52 კგ) და ფრიდონ შავაძე (57 კგ, ორივე — „მართვე“).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

გუშინ...

ვერის ბაღში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სახახლეში სსრ კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ კალათბურთელები. მატჩი დამთავრდა ვილნიუსელთა გამარჯვებით — 102:88 (52:46).

100 ათასი მანეთი — თბილისის „დინამოს“

გუშინ გაზეთ „ლელოს“ რედაქტორისა და თბილისის „დინამოს“ ხოხტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელების სახელზე რედაქციაში ასეთი შინაარსის დეპეშა მოვიდა:

„თბილისის „დინამო“ ყოველთვის იყო ქართული ფეხბურთის ფლაგმანი, სწორედ დინამოელთა მაღალი ოსტატობის მეშვეობით უნდა შევინარჩუნოთ და განვავითაროთ კიდეც მთლიანად ქართული ფეხბურთის მაღალი კლასი. საქსახმომარაგების რესპუბლიკური გაერთიანება „საქნაირბითუმვაჭრობის“ კოლექტივი მიესალმება გაზეთ „ლელოს“ თაოსნობას თბილისის „დინამოს“ კოლექტივისთვის ფინანსური დახმარების თაობაზე. ა წ 1 მარტს ჩვენმა კოლექტივმა თბილისის „დინამოს“ პირად ანგარიშზე სპონსორული წესით გადარიცხა 100 ათასი მანეთი. ვუსურვებთ დინამოელებს და მთლიანად ქართულ ფეხბურთს წარმატებებს. მოვუწოდებთ ყველა ორგანიზაციას, ვისაც საამისო შესაძლებლობა აქვს, გადაურიცხოს თანხები თბილისის „დინამოს“ კოლექტივს. თუ შესაძლებლობა იქნება, სიამოვნებით გავერთიანდებოდით თბილისის „დინამოს“ კლუბის წევრებად“.

შალვა კილურაძე,
საქსახმომარაგების რესპუბლიკური გაერთიანება „საქნაირბითუმვაჭრობის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

ჟურნალის პრიზზე

მოსკოვში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი სინქრონულ ცურვაში ჟურნალ „სოვეტსკაია ფენშჩინას“ პრიზზე. მონაწილეთა შორის არის 13 ქვეყნის 76 სპორტსმენი. სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების ლიდერი, თბილისელი ქრისტინა ფალასინიდი ჯერჯერობით 89,330 ქულით, მეორე ადგილზეა 91,420 ქულით კი ლიდერობს ამერიკელი ბეკი დაირენი. მესამე ადგილზეც ამერიკელი მოცურავეა — ტრეისი ლონგი (88,900 ქულა).

ჟიდაობა ჩვენი, ქართული... — საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი

ღირსია, დაუოუკიდებლად ვითარდებოდეს!

ქართულ ჭიდაობას მხოფლიოში ცოტა ვინმე თუ იცნობს, არც მისი ცალკე ფედერაცია არსებობს, რათა შეჯიბრებებს წინასწარ განსაზღვრული დანიშნულება დაეკისროს. ამიტომ ჩვენი ჭიდაობის სხვებისთვის გასაცნობად უფრო ხელსაყრელ შემთხვევებს ვუცდით, ვიდრე თვითონ წარვმართავთ საკუთარ მისწრაფებას სასურველი მიმართულებით.

ერთ-ერთ ასეთ ხელსაყრელ შემთხვევად ჩვენმა ჭიდაობის მესვეურებმა სრულიანად სამართლიანად მიიჩნიეს ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი და წინასწარ დაიჭირეს თადარიგი, რომ მისი დამთავრების შემდეგ მონაწილეები, განსაკუთრებით კი უცხოელები, ქართული ჭიდაობის ტურნირზეც მიეზიდათ.

ამბობენ, უცხოელები ჩვენზე პრაქტიკული ხალხიაო, მათ ყველაფერი წინასწარ გამოზომილი აქვთ, სამიტომ მასპინძელთა წამოწყების ხორცშესხმა არც ისე ადვილი იყო. თუმცა იგი მაინც განხორციელდა და ეს თავისთავად მეტად სასიხარულო ამბავია.

ოღონდ რაკიღა საქმე ქართულ ჭიდაობას შეეხება, ჩვენ კიდევ უფრო უკეთესი გვსურს, ამიტომ ამ უფლებით რამდენიმე მოსაზრებას გამოთქვამთ.

დავიწყებთ იმით, რომ ასპარეზობის დრო მეტად არახელსაყრელი იყო ქართული ჭიდაობის ტურნირისათვის. თვითონ ძიუდოისტთა შეჯიბრებაც შუა კვირაში ჩატარდა და ამის გამო მას მაყურებელი დააკლდა, რადგან. ჩვეულებრივ, გულშემატკივართა მნიშვნელოვან ნაწილს თბილისის ახლომახლო რაიონების მცხოვრებნი შეადგენენ ხოლმე, ახლა კი ყველამ (მათ შორის თბილისელებმაც) ვერ მოახერხა დროის გამონახვა. ამასთან 2 მარტს სპორტის სასახლეში ძალოსანთა შეჯიბრება დაიწყო და ამ ორ საერთაშორისო ტურნირს შორის მოქცეული ქართული ჭიდაობა უფრო პატარა არენაზე. ვერის ბაღის საკალათბურთო სასახლეში გადმოიტანეს. ჩვენ შეჯიბრების ორგანიზატორებს კი არ ვსაყვედურობთ, უბრალოდ, დასანანია, რომ ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა და ქართული ჭიდაობის ფაქტობრივად პირველ საერთაშორისო ტურნირს (ნოემბერში ძალიან საინტერესო შეჯიბრება კი ჩატარდა, მაგრამ საზღვარგარეთიდან მხოლოდ ორი ქართველი ებრაელი მონაწილე გვეწვია) რაღაც დააკლდა.

პირველი შთაბეჭდილება კი ძალზე მნიშვნელოვანია... ისიც ნათელია, ძიუდოისტთა ტურნირის შემდეგ გამართული ასპარეზობა, ცხადია, ვერ იქნებოდა ისეთი დონისა, როგორიც გვსურს, რადგან მთავარი მაინც ტურნირი გახლავთ და მის შემდგომ ქართული ჭიდაობა წინასწარ მკაცრად განსაზღვრული მოსაზრებით კი არა, აოსებული სიტუაციიდან გამომდინარე უნდა ჩატარებულიყო.

როგორც ადრე გაცნობეთ, გადაწყვეტილი იყო, რომ ქართულ ჭიდაობაშიც მხოლოდ ძიუდოისტთა ტურნირის მონაწილენი დაეშვათ. ასეც მოხდა, მხოლოდ ორიოდე გამონაკლისი დაუშვს, რომ შეევსოთ მონაწილეთა სრული რაოდენობა, ე. ი. რვა-რვა მოჭიდავე თითოეულ წონაში.

ჩვენ, ცხადია, გვესმის, რატომ გააკეთეს ასე. წინაღმდეგ შემთხვევაში ტურნირზე დაღლილ ძიუდოისტებს დასვენებულ მეტოქეებთან მოუხდებოდათ ჭიდილი. მაგრამ, მეორე მხრივ... „როგორ შეიძლება ქართული ჭიდაობა ქართული ჭიდაობის მიმდევართა გარეშე?“ — საყვედურით იკითხა ერთმა ვეტერანმა ფალავანმა. საქართველოში, საბედნიეროდ, არიან მოჭიდავეები, რომლებიც უფრო ხშირად ქართულ ჭიდაობაში არჩევენ გამოსვლას და სხვებისგან განსხვავებული, საკუთარი სტილით გამოირჩევიან. მათი გამოკლებით, ცხადია, თავისებური კოლორიტიც დააკლდა ტურნირს... ტრიბუნიდან უყურებდა ჭიდაობას საქართველოს ახლანდელი ფალავანი მალხაზ ბერუაშვილი. „რომ ეთქვათ, სიამოვნებით ვიჭიდავებდი“, — გვითხრა მან, თუმცა სამართლიანობისთვის ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დროის დეფიციტის გამო (დრო უცხოელებს არ ჰქონდათ) მასპინძლები იძულებულნი იყვნენ შეეზღუდათ მონაწილეთა რაოდენობა და ქართულ ჭიდაობას ერთგვარად საჩვენებელი ხასიათი მიეცა.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო: **ცნობილი უცხოელი მოჭიდავეები, ქართული მუხიკის ჰანგზე, ქართულ ჩოხებში, ჩვენს მამა-პაპურ ჭიდაობაში ახპარეზობდნენ.** მართალია, ზოგს რაღაც წესები ეშლებოდა. მაგრამ მაყურებლები ერთხმად მოითხოვდნენ მსაჯებისაგან, რომ მართლაც მასპინძლის საკადრისი შემწყნარებლობა გამოეჩინათ, თუმცა, არც არბიტრებს (მთავარი მსაჯი — ბიძინა მაზიაშვილი) სჭირდებოდათ ამის შეხსენება...

მაყურებელმა ქალათბურთის სასახლის დარბაზის ნახევარი თუ შეავსო (უქმე დროს ალბათ ზოგს გარეთ მოუხდებოდა დარჩენა), მაგრამ ვინც შეიკრიბა... უცხოელები ხშირად აქებენ ძიუდოს ჩვენს გულშემატკივრებს, თუმცა ქართულ ჭიდაობას მაინც ყველაზე განსწავლული, და იქნებ, ყველაზე მგზნებარე აუდიტორია ჰყავს, ისეთ სამართლიან რეპლიკებს ისროდნენ ტრიბუნებიდან, რომ ყველა ისინი რომ შევკრიბოთ, ყალბი თავმდაბლობით არ ვამბობთ, ამ წერილზე უკეთესი რეცენზია გამოვა. მათ მყარი, ნათელი წარმოდგენა აქვთ ქართულ ჭიდაობაზე და ფხიზლად ადევნებენ თვალს, რომ არავინ არაფერი დაარღვიოს. **მაყურებელი ტაშით შეხვდა ქუთაისელი რობერტ ლომთათაძის გადაწყვეტილებას, რომელმაც უარი განაცხადა იაპონელ ტაცუია დეგუტისთან ჭიდაობაზე და დამარცხებულად გამოაცხადა თავი, რადგან მეტოქე კოჭლობით გამოვიდა სარბიელზე** (დეგუტის მხრიდან ეს სრულიად არ იყო „კამიკაძის საქციელი“, ძიუდოისტთა ტურნირის ვერცხლის პრიზიორს ტრავმის მიუხედავად, ეტყობა, მაინც ჰქონდა თავის იმედი). ოღონდ, როცა, ალბათ ამხანაგის წამხედურობით, იგივე სცადა გერასიმე ხაბულიანმა (პოლონელ მარეკ კრაიევსკისთან შეხვედრისას), ხალხი უკმაყოფილოდ აბმუტრდა. შეხვედრა შედგა და საინტერესოდ წარიმართა კიდეც. პოლონელმა მაინც გაიმარჯვა.

ქართულ ჭიდაობაში იასპარეზეს იაპონიის გუნდის ოთხივე წევრმა. აგრეთვე თურქმა, პოლონელმა და ჩეხოსლოვაკელმა ძიუდოისტებმა. როგორც უკვე გაცნობეთ, საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან მხოლოდ ორმა სცადა ძალა ქართულ ჭიდაობაშიც. სხვათა შორის, წინასწარ სურვილი გამოთქვა ცნობილმა ძიუდოისტმა გიგიგორი ვერიჩევმა (იგი თბილისში კი იმყოფებოდა, თუმცა ძიუდოისტთა შეჯიბრებაზე არ გამოსულა). მაგრამ სარბიელზე მაინც ვერ ვიხილეთ და ვერც ამის მიზეზი შევიტყვეთ. კიდევ შეგახსენებთ, რომ სპონსორების — შულავერის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკისა და სოფელ მირიანის (კასპის რაიონი) მეფრინველეობის ფაბრიკების მუშაკთა მიერ დაწესებული იყო ფულადი ჯილდოები, შესაბამისად 1000, 500 და 300 მანეთი ასპარეზობის პრიზიორებისათვის.

შეჯიბრების ძირითად მონაწილეებსაც, ე. ი. ქართველი მოჭიდავეების ოსტატობას ერთნაირი საზომით ვერ მივუდგებით, მათგან ზოგს საკმარისი გამოცდილება აქვს ქართულ ჭიდაობაში. ზოგს კი, უცხოელთა მსგავსად, კიმონოს გარდა საჭიდაო სამოსი სხვა არაფერი სცმია, მაგალითად, 18 წლის ქუთაისელ ფალავანს ვალერი კიბორძალიძეს. თუმცა უცხოელებთან შედარება რა მოსატანია, ჩვენს მოჭიდავეებს ბევრი არაფერი სჭირდებათ, რომ ღირსეულად „გამოჩნდნენ“ ქართულ ჩოხაში. იმავე კიბორძალიძემ გაიმარჯვა 90 კგ. წონის ათლეტთა შორის, გადამწყვეტ, მეტად დაძაბულ შერკინებაში დაამარცხა ორიოდე წლით უფროსი მეტოქე, ზესტაფონელი გიორგი გაჩეჩილაძე, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა.

და მაინც, ქართულ ჭიდაობას თავისი ყადრი აქვს... 66 კგ. წონით კატეგორიაში გამართულ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გიორგიწმინდელი გიორგი ხოსიტაშვილი და ჭიათურელი გურამ მოდებაძე, სწორედ ისინი, რომლებმაც ორი დღით ადრე ძიუდოისტთა ტურნირის ფინალში იჭიდავეს. მაშინ მოდებაძემ წმინდად გაიმარჯვა, ახლა კი გ. ხოსიტაშვილმა შეხვედრის მეორე წუთზე ულამაზესი ილეთით დაამარცხა მეტოქე და თავისებური რევანშიც აიღო. მანამდე მოდებაძეს წლეულს არც ერთი შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული (ძიუდოში, ცხადია), თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი ქართულ ჭიდაობას მეტოქეზე ნაკლებად იცნობს („ჭიათურაში არ იმართებოდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში“, თქვა მან), ხოსიტაშვილი კი დაუზარებლად ასპარეზობს, თუკი საგარეჯოს გუნდს დასჭირდება ხოლმე.

ვიცით, რომ იაპონიაში დაიწყეს ზრუნვა ქართული ჭიდაობის დასანერგად, პირველ რიგში გვაინტერესებდა ამ ქვეყნის მოჭიდავის აზრი ქართული ჭიდაობის შესახებ. მივმართეთ შეჯიბრების მესამე პრიზიორს ტაცუია დეგუტის.

— ცხადია გამიჭირდა, რადგან პირველად ვნახე ქართული ჭიდაობა. — გვითხრა მან, — სხვა დროსაც. თუკი მიმიწვევენ, აუცილებლად ვიჭიდავებ. ოღონდ ისიც მინდა ვთქვა, რომ იგი ძალიან ჩამოჰგავს ძიუდოს და ამის გამო შესაძლოა იმდენად პოპულარული ვერ გახდეს იაპონიაში...

მაყურებელთა მოწონება და, ცხადია, ოვაციაც დაიმსახურა ჩეხოსლოვაკიელმა ვინცენტ რინიაკმა (80 კგ), რომელიც ფინალში გავიდა და იქ მან დაამარცხა კასპელი რამაზ გოგიაშვილი. რინიაკი, 22 წლის ბანსკა-ბისტრიცელი სამხედრო მოსამსახურე, თვითონაც ძალიან გახარებული ჩანდა.

● **თქვენ პირველი უცხოელი ხპორტსმენი ხართ, რომელმაც ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვა, — მივმართეთ მას, — მოგვწონათ შეჯიბრება?**

— ძალიან საინტერესოა. გუშინ ძლიერ ვყოყმანობდი, გამოვსულიყავი თუ არა, მაგრამ დღეს ჭიდაობა რომ ვნახე, მართლა დამაინტერესა. სწორედ ჩემთვისაა ზედგამოჭრილი. ძიუდოში ყველაზე ნაკლებად „პარტერში“ ჭიდაობა მიყვარს, აქ კი მუდამ ფეხზე მდგომმა უნდა იჭიდაო.

● **ამბობენ, ქართული ჭიდაობა ძიუდოს წაგავსო. ამის გამო აზრი ხომ არ ეკარგება მის ცალკე განვითარებას?**

— არავითარ შემთხვევაში, იგი მაინც სხვა არის, სხვა სტილი აქვს და სრული შესაძლებლობაც, რომ დამოუკიდებლად განვითარდეს.

● **ამ შეჯიბრებას უფრო საჩვენებელი ხასიათი ჰქონდა. აი, ნოემბერში კი ჩვენთან გაცილებით დიდი ზეიმი იმართება ქართულ ჭიდაობაში, ტარდება საერთაშორისო ტურნირი. პრიზებიც გაცილებით მნიშვნელოვანია. არ მოისურვებდით ჩამოსვლას ამ შეჯიბრებაზე?**

— სიამოვნებით ჩამოვალთ თუ მოგვიწვევენ. ერთადერთი პრობლემა ალბათ მხოლოდ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობა იქნება. ჩეხოსლოვაკიაში ქართული ჭიდაობის ფედერაცია არ არსებობს და ვიოაცამ ხომ უნდა გადაიხადოს ჩვენი მგზავრობის ფული...



სურათებზე: ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირში გამარჯვებულები. მარცხნიდან: გიორგი ხოსიტაშვილი, ზურაბ ონიანი, ვინცენტ რინიაკი, ვალერი კიბორძალიძე. მევლუდ ლობჟანიძე. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე (მარცხნიდან): ტაცუია დეგუტი (იაპონია), გიორგი ხოსიტაშვილი, გურამ მოდებაძე (ორივე — საქართველო).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

72 კგ და მძიმე წონებში გამართული ფინალური შეხვედრები ქართველ ფალავანთა მონაწილეობით ჩატარდა. ლენტეხელმა ზურაბ ონიანმა, როგორც უკვე იცით, ვერცხლის მედალი დაიმსახურა ძიუდოისტთა ტურნირზე ახლა კი მან ამ ჯილდოს „ოქროც“ მიუმატა, — შეუპოვარ შერკინებაში დაამარცხა გორელი ბესიკ გიორგაშვილი.

მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა თბილისელი მევლუდ ლობჟანიძე. ფინალში მისი მეტოქე იყო ძიუდოისტთა შეჯიბრების ბრინჯაოს პრიზიორი 95 კგ წონით კატეგორიაში, ხაშურელი ვეფხია კაპანაძე.

კიდევ ვიმეორებთ, აღნიშნული შეჯიბრება ქართული ჭიდაობის უცხოელთათვის გაცნობის ცდა უფრო იყო, ვიდრე დამოუკიდებელი საერთაშორისო ტურნირი და ყველაფერი ამის მიხედვით უნდა შევაფასოთ. ახლა საჭიროა მთელი ყურადღება გადატანილი იქნეს ტრადიციის ჩასაყრელად დაწესებული თბილისის საერთაშორისო ტურნირის მოსამზადებლად, რომლის პირველი შეჯიბრება გასული წლის ნოემბერში გაიმართა. პირველი მართლაც კარგად ჩატარდა, მეორე კი უკეთესი უნდა იყოს და რაც მთავარია, გაცილებით მეტი უცხოელი მონაწილის ჩამოყვანისთვის ბოგვიწევს ზრუნვა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ᲥᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲭᲘ

66 კგ 1. გიორგი ხოსიტაშვილი (საგარეჯო); 2. გურამ მოდებაძე (ჭიათურა); 3. ტაცუია დეგუტი (იაპონია).

72 კგ 1. ზურაბ ონიანი (ლენტეხი); 2. ბესიკ გიორგაშვილი (გორი); 3. მარეკ კრაიევსკი (პოლონეთი).

80 კგ ვინცენტ რინიაკი (ჩეხოსლოვაკია); 2. რამაზ გოგიაშვილი; 3. გოგიტა ხუციშვილი (ორივე — კასპი).

90 კგ 1. ვალერი კიბორძალიძე (ქუთაისი); 2. გიორგი გაჩეჩილაძე (ზესტაფონი); 3. ლიუბომირ სტომკო (ჩეხოსლოვაკია).

მძიმე წონა. 1. მევლუდ ლობჟანიძე (თბილისი); 2. ვეფხია კაპანაძე (ხაშური); 3. გენადი მუმლაძე (ლაგოდეხი).

ხმები და რეალობა

უნდა გადაიხადოს თუ არა თბილისის „დინამომ“ 200 ათასი დოლარი?

— არავითარ შემთხვევაში!

— ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რესპუბლიკური საგარეო სავაჭრო გაერთიანება „საქიმპექსის“ გენერალური დირექტორი დევი ვერულეიშვილი.

...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადწყვეტილებამ საკავშირო ჩემპიონატში, უარის თქმაზე და რესპუბლიკური ჩემპიონატის ჩატარებაზე, გამოიწვია არა მარტო გულშემატკივრების, არამედ რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობის დიდი დაინტერესება. ბუნებრივია, რომ პრესა დიდ ადგილს უთმობს ამ მოვლენას, კერძოდ, „იზვესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „სოვეტსკი სპორტი“ და სხვა საკავშირო და რესპუბლიკური გაზეთები ხშირად აღნიშნავენ, რომ ამის გამო თბილისის „დინამოს“ ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება თავის სპონსორთან, მთელს მსოფლიოში პოპულარულ ფირმა „პუმას“ წინაშე.

„კონტრაქტი „პუმასთან“ თბილისის „დინამოს“ დარღვეული აქვს, ამიტომაც იგი ვალდებულია გადაიხადოს 200 ათასი დოლარი ჯარიმა...“ იუწყება, მაგალითად, „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტი. მას ბანს აძლევენ კოლეგები სხვა გამოცემებიდან, თუმცა, ჯარიმის თანხას ყველა განსხვავებულად ასახელებს.

ჩემს ხელთაა შეთანხმება, რომელიც 1989 წლის 2 ნოემბერს დაიდო შვეიცის „სკანპრო სვიდენ აბ გეტებორგსა“, რომელიც „პუმას“ ფირმის ინტერესებს იცავს, და საქართველოს მინისტრთა საბჭოს საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „საქიმპექსს“ შორის, რომელიც საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დავალებით მოქმედებს. საქართველოს მხრივ ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა დ. ვერულეიშვილმა.

— საოცარი საქმეა, — ლაპარაკობს გენერალური დირექტორი. — სწორედ ჩვენა ვართ იურიდიულად პასუხისმგებელი პირი „პუმას“ წინაშე, მაგრამ არც ერთი კორესპონდენტი არ მოსულა ჩვენთან, სანამ მკითხველს „სენსაციურ“ ინფორმაციას მიაწვდიდა ჩვენი პოპულარული გუნდის დავალიანებაზე ფირმის წინაშე. რას იფიქრებს ჩვენს შესახებ საზღვარგარეთელი პარტნიორი? მინდა გითხრათ, რომ მის მხრივ არა მაქვს არავითარი პრეტენზია კონტრაქტის რაიმე დარღვევაზე, რომელიც ვალის გადახდას გვავალებს. ფირმასთან გვქონდა და ახლაც გვაქვს საუკეთესო ურთიერთდამოკიდებულება. კონტრაქტში სიტყვაც არ არის ნათქვამი, რომ შესაძლოა საჭირო შეიქნეს სასამართლოს მივმართოთ სადავო საკითხების წამოჭრის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ჩვენ მოვილაპარაკეთ და სპეციალურ პარაგრაფში ჩავწერეთ, რომ ყველა საკითხს გადავჭრით ურთიერთმოლაპარაკების გზით, კეთილგანწყობილებისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

სხვათა შორის, ხელშეკრულებაში აღნიშნული არაა, რომ „დინამოს“ კლუბი ვალდებულია აუცილებლად სსრ კავშირის ჩემპიონატში ითამაშოს. მე-2 პარაგრაფი მეტყველებს: „კლუბი და „საქიმპექსი“ ვალდებულებას იღებენ, რომ ყოველ თამაშში და წვრთნის დროსაც კლუბის ყველა ფეხბურთელი 1990 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩაცვამს ‘ფორმას „პუმას“ წარწერით, იქნება ეს ჩემპიონატის მატჩები, ევროპული თასები თუ ამხანაგური თამაშები“.

დასასრულ, დ. ვერულეიშვილმა თქვა: მინდა მადლობა გადავუხადო წერილების ავტორებს, რომლებმაც თავიანთი წერილებით „პუმას“ უნებურად კარგი რეკლამა გაუკეთეს საკავშირო და საერთაშორისო პრესაში. დღეს ტელექსი გავგზავნე გეტებორგში, სადაც „პუმას“ წინადადება მივეცი გახდეს საქართველოს მომავალი ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი და თავისი სპორტული ტანსაცმლით მოამარაგოს საქართველოს ყველა საფეხბურთო გუნდი. იმედი მაქვს, ჩვენი პარტნიორები მიიღებენ ამ წინადადებას.

იური გოლდმანი.

(საქინფორმის კორ.).

ქალები მინიფეხბურთის ასპარეზზე

პროფკავშირების სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით ტყიბულში გაიმართა საქართველოს პირველობა მინიფეხბურთელ ქალთა შორის. შეჯიბრებას მრავალი მაყურებელი ჰყავდა, ტყიბულის საზოგადოებრიობამ დიდი ყურადღება გამოიჩინა ასპარეზობისადმი და კარგი მასპინძლობა გაუწია მონაწილეებს. ისიც უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებაში მონაწილე გოგონათა უმრავლესობამ საუკეთესო ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება გამოავლინა.

პირველობაში სულ 5 გუნდი მონაწილეობდა. პირველი ადგილი 6 ქულით დაიკავა თბილისის „შევარდენმა“ (მწვრთნელი ა. ჯინჭარაძე), რომელმაც მეტოქეთა კარში 16 ბურთი გაიტანა და საკუთარში მიიღო მხოლოდ ერთი.

ასევე 6 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გავიდა ჭიათურელ გოგონათა კოლექტივი (მწვრთნელი რ. ბრეგვაძე), რომელმაც ერთადერთი შეხვედრა წააგო თბილისის გუნდთან.

5 ქულით მესამე ადგილზეა გორის გუნდი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტებით (მწვრთნელი ს. ვაშაკიძე). ეს კოლექტივი მხოლოდ 6 თვეა არსებობს, ხეირიანი სავარჯიშო პირობები არ გააჩნია, მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მეტად პერსპექტიული გუნდია.

ტყიბულის ორგანიზაციებმა საგანგებო პრიზები დააწესეს საუკეთესო ფეხბურთელთათვის. 10 გატანილი ბურთით გათამაშების პირველი ბომბარდირი გახდა თბილისელი ირმა ქარდავა. საუკეთესო მეკარის პრიზი დაისაკუთრა გორელმა ნატო ომაძემ, საუკეთესო მცველისა — მაიაკოვსკელმა ნანა კვერნაძემ, მისი თანაგუნდელი მაკა ყურაშვილი შეჯიბრების საუკეთესო თავდამსხმელი გახდა.

ყველაზე მებრძოლი ფეხბურთელი იყო გორელი ეკა ბასილაძე, ხოლო ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელის პრიზი გადაეცა თბილისელ მაია ჯაფარიძეს. ქალაქის სპორტული საზოგადოებისა და ვეტერანთა სახელით შეჯიბრებაში მონაწილე ყველა გუნდი დაჯილდოვდა სამახსოვრო თასებით.

დაკომპლექტდა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ქალთა ნაკრები (უფროსი მწვრთნელი ა. ჯინჭარაძე), რომელიც ერთობლივი საწვრთნელი შეკრების შემდეგ რესპუბლიკის ქალაქებში მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა ნაკრებს. შემდეგ ორივე გუნდი თურქეთს გაემგზავრება და იქ გამართავს ხანგრძლივ თამაშებს. ამის თაობაზე ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება.

თენგიზ კუბლაშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.

• • •

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული თბილისის „შევარდენი“.

მსოფლიო ჩემპიონატი ტელევიზიით!

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ სამი თვეა, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ, თუ როგორ გააშუქებს წლევანდელი წლის სპორტული ცხოვრების მთავარ მოვლენას ცენტრალური ტელევიზია. მოვუსმინოთ რას ამბობს ამის თაობაზე სსრ კავშირის სახტელერადიოს სპორტული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი ბორის გულტიაი.

— არ არის გამორიცხული, რომ საბჭოთა ტელემაყურებელმა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა 52 მატჩი იხილოს. ჩვენ კავშირში შევედით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, სადაც გადაწყვეტილი აქვთ ყველა თამაშის ტრანსლიაციის უფლების ყიდვა. რა თქმა უნდა, ყველა გადაცემა პირდაპირი არ იქნება, რადგანაც ჩემპიონატის გახრიგით ზოგიერთი მატჩი ერთსა და იმავე დროს იწყება. შევეცდებით უფრო საინტერესო შეხვედრა შევარჩიოთ სინქრონული ჩვენებისთვის.

სსრ კავშირის სახტელერადიოს კოლეგიას წარვუდგინეთ ჩემპიონატის გაშუქების პროგრამა, რომელიც, იმედია, უახლოეს დღეებში დამტკიცდება და უფრო დაწვრილებით ცნობებს მივაწვდით ფეხბურთის მოყვარულებს.

მწვრთნელი გადააყენეს

კოსტა-რიკის ნაკრები 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. კოსტა-რიკელთათვის ეს დიდი წარმატებაა და, მიუხედავად ამისა, გუნდის უფროსი მწვრთნელი მარვინ როდრიგესი გადააყენეს თავისი პოსტიდან.

ეს გადაწყვეტილება საფეხბურთო სამყაროსთვის ფრიად მოულოდნელია, ვინაიდან კოსტა-რიკის ფეხბურთელებმა ასეთ წარმატებას მიაღწიეს და მწვრთნელი კი გადააყენეს. მაგრამ ფაქტი — ფაქტია. გაიმართა კოსტა-რიკის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო სხდომა, სადაც ფედერაციის ხელმძღვანელებმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვეს ამხანაგურ საწვრთნელ შეხვედრებში თავიანთი ნაკრების ბოლო პერიოდის შედეგების თაობაზე. ფედერაცია განსაკუთრებით აღაშფოთა იმან, რომ ლოს-ანჯელესის ამასწინანდელ საერთაშორისო ტურნირში კოსტარიკელებმა მარცხი იწვნიეს მექსიკის კლუბისგან ნახევარფინალურ შეხვედრაში.

კოსტა-რიკაში ახლა ახალ მწვრთნელს ეძებენ, კანდიდატები საკმარისად არიან, მათგან, რა თქმა უნდა, ყველაზე ცნობილია არგენტინელი სპეციალისტი ლუის მენოტი.

დასკვნითი ტური — თბილისში

თბილისს „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდი წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით წარმატებით იბრძვის უძლიერესთა ლიგაში დასაბრუნებლად. სულ ახლახანს ჩვენმა სპორტსმენებმა სტუმრად 4 მატჩი ჩაატარეს. პირველი შეხვედრა შიაულიაის „ტაურასთან“ საკმაოდ დამაჯერებლად წარმართეს და ორი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს — 29:27. მომდევნო მეტოქის, მოსკოვის „ისკრის“ დამარცხება კი ვეღარ შეძლეს — 22:27. ჩვენი მწვრთნელების აზრით, ეს იყო მათი „ხელქვეითების“ ყველაზე სუსტად ჩატარებული შეხვედრა, თუმცა არც მსაჯებმა დაგვაკლეს ხელიო. „ტაურასთან“ განმეორებითი შეხვედრა ფრედ — 22:22 დამთავრდა, ბოლო მატჩი კი მოსკოველებთან „ბურევესტნიკმა“ უკვე აღმავლობით ჩაატარა და დამაჯერებლად სძლია მეტოქეს — 26:20.

თბილისის „ბურევესტნიკს“ ბოლოსწინა ტურში (22-25 მარტს) მეტად ძნელი მატჩები ელის დონეცკში, მისი მეტოქეები იქნებიან კაუნასის „გრანიტასი“ და ვორონეჟის „ხიმიკი“. „გრანიტასი“ მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია, ასე რომ, იქ მოპოვებულ ყოველ ქულას, რომ იტყვიან, ოქროს ფასი ექნება. მაგრამ, საბედნიეროდ, დასკვნითი ტური თბილისში გაიმართება, რაც ჩვენს გუნდს კარგ პერსპექტივას უქმნის. ჯერჯერობით პირველი ლიგის გათამაშებაში დაწინაურდა ბროვარის „სტროიტელი“, რომელსაც 42 ქულა აქვს. „ბურევესტნიკი“ მეორე ადგილზეა — 38 ქულა.

ნანა ბერიშვილი.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა

ბათუმი. აქ დამთავრებულ მაგიდის ჩოგბურთელთა საქართველოს პირველობაზე 1974 წელს და უფრო გვიან დაბადებული ნორჩი სპორტსმენები ასპარეზობდნენ (I ლიგის პირველი ტური), თითოეულ გუნდში 5 გოგონა და ამდენივე ვაჟი იყო.

წარმატებით იასპარეზა აჭარის ნაკრებმა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გავიდა თბილისის, მესამეზე — აფხაზეთის ნაკრები გუნდი.

მეორე ტურს აპრილში თბილისი უმასპინძლებს.

მუხრან კობალაძე,
„ლელოს“ ხაკ. კორ.
ბათუმი.

ქალთა ტრადიციული...

ამ დღეებში თბილისის საუკეთესო სპორტული ბაზები ეთმობა ქალთა საერთაშორისო დღის, 8 მარტისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საქალაქო სპარტაკიადის ორთაბრძოლებს, რომელიც სპორტის რვა სახეობაში ტარდება.

ასპარეზობაში მონაწილეობენ ქალაქის ათივე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, ტექნიკუმებისა და თეთრეულის საწარმოო გაერთიანება „გლდანისა“ და „ელექტროაპარატის“ კოლექტივები, აგრეთვე სპორტკლუბები: „ფეიქარი“, „უშბა“, „მეგობრობა“, „ივერია“ და „შევარდენი“.

სპარტაკიადის მონაწილეთა ასაკი 15-დან 50 წლამდეა.

• • •

სურათზე: დისტანციაზე არიან 60 მეტრზე გარბენის მონაწილენი. აქ უძლიერესის სახელი მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორეკურსელმა აზა გაბარაევამ.

ვიქტორ ბუკიას ტექსტი და ფოტო.



ველოსიპედი — მკითხველი



ჰაააგა. „ვიელერ რევიუს“ გრან პრის ველოსრბოლის გამარჯვებული მხოლოდ ფოტოფინიშმა გაარკვია. დანიელმა როლფ სირენსენმა რთულ და ძაბულ ბრძოლაში აჯობა ლენინგრადელ ვიაჩესლავ ეკიმოვს 205-კილომეტრიან დისტანციაზე. თუმცა მეორე ადგილი და ფინიშზე ნაჩვენები დროც (5 საათი, 15 წუთი და 00 წამი) კარგი შედეგია ეკიმოვისთვის, რომელიც სულ ახლახან გადავიდა პროფესიონალთა რიგებში. მესამე ადგილი ბელგიელმა ველომრბოლმა ჯეფ ლიეკენსმა დაიკავა.

ჰანოვერი (გფრ). ქვემო საქსონიაში, ტრადიციულად, ტარდება ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საგაზაფხულო ველორბოლა მოყვარულთა შორის. იგი 8-19 აპრილს გაიმართება. 1582-კილომეტრიანი ტრასა 10 ეტაპადაა დაყოფილი. მონაწილეთა შორის იქნებიან ავსტრიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გფრ-ის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, შვეიცის, შვეიცარიის, ფინეთის, იუგოსლავიისა და ორი ადგილობრივი გუნდის ველომრბოლები.

აქვე, 11-18 აპრილს გაიმართება ქალთა რბოლა 626-კილომეტრიან დისტანციაზე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში
I წრე, III ტური

აპრძალული ოლიმპის ფასი

მესამე ტურის შეხვედრებმა საბოლოოდ უნდა გაარკვიოს იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც ოთხ საუკეთესოს შორის დამკვიდრდებიან და შედლებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. თბილისის დინამოელებს, რაღა თქმა უნდა, იქ მოხვედრაზე ფიქრიც დიდი ხანია აღარ შეუძლიათ. ისინი ვეღარც რვა საუკეთესოს შორის დამკვიდრებაზე აცხადებენ პრეტენზიას, რაც ლიგაში დარჩენის გარანტიას იძლევა. ქართველი წყალბურთელები ახლა იმაზე ფიქრობენ, როგორმე ბოლო ოთხ ადგილზე გასულ გუნდებთან გაიმარჯვონ, რათა შემდეგ მათთან მოპოვებული „ოქროს“ ქულებით პირველ ლიგაში დაწინაურებულ ამდენივე გუნდთან ერთად წარმატებისთვის იბრძოლონ.

თბილისელთათვის, რომლებიც ახლა მესამე ტურის მატჩების მონაწილეთა ერთ ჯგუფს ძასპინძლობენ, ასეთი მეტოქე ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის (კწფ) გუნდი იყო.

ბაქოელებმა ტური ნული ქულით დაიწყეს, თბილისელებმა — ერთით და ისინი სატურნირო ცხრილის ბოლოში არიან. ამ გუნდების შეხვედრაში თბილისელებმა თამაში აღმავლობით დაიწყეს და მხოლოდ ბოლო პერიოდი დათმეს. საბოლოოდ მასპინძლებმა მაინც იმარჯვეს 11:9 (4:1, 2:2, 2:1, 3:5).

ბაქოელებთან მოპოვებულმა ამ ორმა ქულამ თბილისელებს დიდი სამსახური უნდა გაუწიოს ლიგაში დასარჩენად.

იმ დღის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ალმა-ათა) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) 10:11, ცსკ ვმფ — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 11:8.

გუშინ თბილისელებმა ალმაათელ თანაკლუბელებს უმასპინძლეს. შეხვედრის ბედი პრაქტიკულად გადაწყდა მეორე პერიოდის მიწურულს, როცა ანგარიში იყო 6:4 ალმა-ათელთა სასარგებლოდ. ამ დროს თბილისელმა დავითიანმა მეტოქის მიმართ აკრძალული ილეთი გამოიყენა, რის გამოც მას სარბიელი შეცვლის უფლების გარეშე დაატოვებინეს.

ამის მერე, ბუნებრივია, ალმაათელებს გამარჯვება აღარ გასჭირვებიათ — 17:9 (4:2, 2:2, 5:2, 6:3).

გუშინ ცსკ ვმფ-მ სძლია „უნივერსიტეტს“ — 11:5, ხოლო „ლოკომოტივმა“ — „ᲠᲤ-ს — 8:6.

დღეს, ტურის ბოლო მატჩში თბილისელები ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს ცსკ ვმფ-ს უმასპინძლებენ.

კახი კახიაშვილი — უძლიერესი!

საერთაშორისო ტურნირზე ძალოსნობაში — „მეგობრობის თასი“, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს, 13 ქვეყნის საკმაოდ ძლიერმა ძალოსნებმა მოიყარეს თავი.

ძიუდოისტთა შეჯიბრების შემდეგ ორგანიზატორების განკარგულებაში მხოლოდ ერთი საღამო იყო და, ცხადია, დროის ასე მოკლე მონაკვეთში ძნელია მოასწრო მაღალი რანგის ტურნირისათვის სათანადოდ მომზადება. მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ იური ქართველიშვილმა აღნიშნა, მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს, რომ ტურნირს მომზადებული შეხვედროდნენ. თუმცა ამისათვის ღამის გათევა დასჭირდათ.

ასპარეზობას ესწრება ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვასილ ალექსეევი. გადავწყვიტეთ მას გავსაუბრებოდით. გვაინტერესებდა, რას ფიქრობდა იგი ტურნირის ორგანიზაციაზე.

— სჯობს ეგ კითხვა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელს დაუსვათ, — გვიპასუხა მან.

● **თქვენი აზრით, როგორია ტურნირის შემადგენლობა?**

— ჩემი საქმე შეჯიბრებისათვის თვალყურის დევნებაა. ყველაფერს ფიცარნაგზე ვნახავ.

დიალოგი არ გამოვიდა. რას იზამ, ეტყობა გოლიათი საუბრის ხასიათზე არ იყო, მაგრამ მისი რჩევა მაინც გავითვალისწინე და საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელს, გერმანელ ექიმს, დოქტორ ჰანც ჰენიკ ლატას მივაკითხე, რომელიც სადოპინგო კონტროლის ხელმძღვანელია. ამჯერად ბედმა გამიღიმა — დოქტორი ლატა კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა:

— ორგანიზაციული საკითხები კარგად არის მოგვარებული, პრობლემები არ გვაქვს, მაგრამ მაკვირვებს მაყურებელთა სიმცირე, თქვენთან ძალოსნობა პოპულარობით არ სარგებლობს?...

მართლაც, 23 წლის შემდეგ პირველად მიმდინარეობს ასეთი რანგის ტურნირი ძალოსნობაში, მაყურებელი კი საოცრად ცოტაა.

დღეს ფიცარნაგზე ვიხილავთ ლეონიდ ტარანენკოს, რომელიც ეცდება მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას. ზემძიმე წონის ძალოსნებში იასპარეზებს კობა ტალახაძეც. ასე რომ, სპორტის სასახლეში მოსული მაყურებელი საინტერესო სანახაობას იხილავს და, იმედია, გულდაწყვეტილი არ დარჩება.

გია ბურდული.

ელვა-ინფორმაცია

გუშინ საერთაშორისო ტურნირზე ძალოსნობაში „მეგობრობის თასზე“ გაიმართა შეჯიბრება 75, 82,5, და 90 კგ წონით კატეგორიებში. ამ უკანასკნელ წონაში გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა იუნიორებს შორის კახი კახიაშვილმა ორჯიდის შედეგით — 397,5 კგ.

300 კაცი — ჯომოლუნგმისკენ

სამი ათეული წლის წინათ ქართველი მთამსვლელები, საბჭოთა ალპინისტთაგან პირველნი, ჰიმალაიში, დედამიწის უმაღლესი მწვერვალის, ჯომოლუნგმას (ევერესტი, საგარმატხა) დასალაშქრავად ემზადებოდნენ და ექსპედიციის მოწყობა რეალური ჩანდა, მაგრამ...

1982 წელს საბჭოთა მთამსვლელებმა ჯომოლუნგმა უქართველებოდ დალაშქრეს. ისინი შარშან სხვა „რვაათასიანებზე“, დჰაულაგირზე და კანჩენჯანყაზეც ავიდნენ. ავიდნენ კვლავ უქართველებოდ.

სამწუხაროდ, ჩვენში კაცი არ აღმოჩნდა. რომ ერთ ან მეორე ექსპედიციაში მოხვედრილიყო.

საბჭოთა მთამსვლელები ახლა კვლავ ჯომოლუნგმისკენ მიმავალ გზაზე არიან და გუნდში ამჟამადაც ჩვენგან არავინაა. იმიტომ კი არა, რომ ქართველმა მთამსვლელებმა უარი თქვეს, „უბრალოდ“, ჩვენთან კვლავ არ მოიძებნა ალპინისტი, რომელსაც ამ ექსპედიციაში მიიწვევდნენ.

საბჭოთა მთამსვლელები მონაწილეობენ საერთაშორისო ექსპედიციაში, რომლის შემადგენლობაშიც ჩინელი და აშშ-ის ალპინისტები არიან. მწვერვალზე... 300 კაცი უნდა ავიდეს, მათ შორის ქალებიც. ეს ასვლა უნდა განხორციელდეს 22 აპრილს (ან ცოტა მოგვიანებით, თუ ამინდი გაჭირვეულდა), როცა მსოფლიოს ხალხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 20 წლის წინათ დაწესებულ დედამიწის დღეს აღნიშნავენ.

ამ ასვლის ინიციატორია ამერიკელი ჯიმ უიტეკერი.

სხვათა შორის, იგი პირველი ამერიკელია, რომელიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ავიდა (1988 წელს).

ასვლის პირობები ასეთია: არავითარი უპირატესობა, ექსპედიციის ყველა წევრი თანაბარუფლებიანია. მთამსვლელები ჯგუფებად დაიყოფიან. თითოეულში 7 კაცი იქნება, მათ შორის ერთი ქალი.

ამ ასვლისთვის ჩინელებმა ჯომოლუნგმა „გაასაჩუქრეს“, ამერიკელებმა ექსპედიცია დაფინანსეს, საბჭოთა მხარემ ჟანგბადის ბალონებითა და აპარატურით აღჭურვა მთამსვლელები.

ექსპედიციას, რომელიც ერთ მილიონზე მეტი დოლარი ჯდება, ძირითადად აფინანსებს ამერიკის ფირმა „ლ. ლ. ბინ“, რომელიც სპორტული ინვენტარითა და ტანსაცმლით ვაჭრობს. მან ექსპედიციისთვის სპეციალური სამოსი შეკერა.

ისიც ღირსანიშნავია, რომ საბჭოთა ჟანგბადის ბალონები და აპარატურა საიმედოა და თანაც ამერიკელებისაზე ხუთი კილოგრამით მსუბუქია.

საბჭოთა მთამსვლელთაგან ექსპედიციაში არიან: მოსკოველი ვიქტორ ვოლოდინი, ოდესელი მსტისლავ გორბენკო, ირკუტსკელები ეკატერინა ივანოვა, ალექსანდრ ტოკარევი, უსტკამენოგორსკელი ანდრეი ცელიშევი, ლენინგრადელები ანატოლი მოშნიკოვი, სერგეი არსენტიევი, ალმაათელი გრიგორი ლუნიაკოვი. მათ ვლადიმერ შატაევი ხელმძღვანელობს.

ამ დღეებში ამერიკელი და საბჭოთა მთამსვლელები პეკინიდან ლჰასში ერთად გაფრინდნენ. იქ მათ ჩინელი ალპინისტები (ძირითადად ტიბეტელები) დაჰვდნენ. ლჰასადან ყველანი ერთად საბაზო ბანაკისაკენ გაემართებიან და თხუთმეტ ტონა ბარგსაც აზიდავენ.

ინფორმაცია

მემფისი. აქ მიმდინარეობს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 250.000 დოლარია. წარმატებით გავლილი ორი ტურის შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშა მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი, რომელმაც მესამე ტურში წააგო დასავლეთგერმანელ მიხაილ სტიჩთან — 3:6, 1:6. მანამდე კი ტურნირს „გამოემშვიდობნენ“ ამერიკელი მაიკლ ჩანგი და შვედი სტეფან ედბერგი. მესამე ტურში ასევე წარუმატებლად იასპარეზა ამერიკელმა კევინ კარენმა, რომელმაც წააგო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელ პეტრ კორდესთან — 6:7 (6:8), 4:6.

ინდიან უელსი (კალიფორნიის შტატი). ამ ქალაქში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირში ამერიკელმა მარტინა ნავრატილოვამ მესამე ტურში დაამარცხა ავსტრიელი იუდიტ ვეისნერი — 6:3, 6:2. ჰელენა სუკოვამ (ჩეხოსლოვაკია) სძლია გრეტჰენ მაჯესტს (აშშ) — 6:4, 5:7, 7:6 (8:6).

Ა. ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



49 წლისა გარდაიცვალა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორი და რეკორდმენი, 60-70-იანი წლების საქართველოს ძალოსანთა ნაკრები გუნდის უცვლელი წევრი — ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჯეჯელავა. იგი ეკუთვნოდა ქართული ძალოსნების იმ პლეადას, რომელმაც დიდი დვაწლი დასდო სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციასა და განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

ა. ჯეჯელავა მრავალ წელს იყო ქართული ძალოსნობის ფლაგმანი, ხოლო მისი მიღწევა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე ძალოსნურ სამჭიდში — 540 კგ სამუდამოდ დარჩა ისტორიაში.

მან აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და ჩაება სამწვრთნელო საქმიანობაში, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ღირსეულად ემსახურა.

ა. ჯეჯელავას აქტიური მცდელობით ჩამოყალიბდა საქართველოს პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა ძალოსნობის სპორტული სკოლა, რომლის დირექტორიც თვითონ იყო პირველი დღიდანვე. საქართველოს რეგიონებში გახსნილ ამ სკოლის ფილიალებში მრავალი ასეული ძალოსანი ეუფლება დღეს ოსტატობას. მთელ რიგ რაიონებში მისი ინიციატივით შეიქმნა აგრეთვე ძალოსნური ჯგუფები, რამაც ხელი შეუწყო რესპუბლიკაში ძალოსნური სპორტის გეოგრაფიის გაფართოებას. უურადღებიანი მეგობრებისა და თანამშრომლების მიმართ, ყოველთვის მზად იყო დახმარების ხელი გაეწოდებინა ყველასათვის. სწორედ ამიტომ მეტად დიდია ჩვენი მწუხარება ამაგდარ და სახელოვან ადამიანთან ასე ნაადრევი განშორების გამო. ალექსანდრე ჯეჯელავას სახელი წარუშლელ კვალად დარჩება ქართული ძალოსნობის ისტორიაში.

საქართველოს სპორტსახკომი, ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, პროფკავშირების გავშვთა და მოზარდთა ძალოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლა.

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲖᲔ

კალათბურთელ ვაჟ ჩემპიონთა თასის გათამაშების ლიდერთა ტრიოს გამოეთიშა სპლიტის „იუგოპლასტიკა“, რომელიც მეათე ტურში დამარცხდა საფრანგეთის „ლიმოჟთან“ 93:100 (47:54). ისევე, როგორც „ლიმოჟს“, ათი მატჩის შემდეგ რვა გამარჯვება აქვს „ბარსელონას“, რომელმაც ბოლო ტურში დაამარცხა პოზნანის „ლეხი“ — 113:81 (58:30).

სალონიკის „არისის“ ლიდერის, გალისის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, რომელმაც 48 ქულა მოუტანა თავის გუნდს, ბერძნები დამარცხდნენ მილანის „ფილიპსთან“ შეხვედრაში — 92:100 (48:39). თელავივის „მაკაბიმ“ მოუგო ჰოლანდიის „კომოდორეს“ — 83:81 (42:37).

ათი ტურის შემდეგ 8-8 გამარჯვება აქვთ „ბარსელონასა“ და „ლიმოჟს“, 7 — „იუგოპლასტიკას“, 6 — „არისს“, 5-5 — „მაკაბისა“ და „ფილიპსს“.

ქალთა ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ცსკა-ს კალათბურთელებმა, თუმცა ბოლო ტურში ისინი დამარცხდნენ მადრიდის „ბანკო ექსტერიორთან“ — 76:99 (38:48).

ფინალში ითამაშებს აგრეთვე იტალიის „ენიმონტი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე, ძალზე დაძაბულ ბრძოლაში დამატებით დროში სძლია პრაღის „ვისოკე შკოლის“ 74:73 (ძირითადი დრო — 66:66).

საფრანგეთის „ასტარაკმა“ დაამარცხა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ — 93:81 (47:48).

დასკვნითი მე-10 ტურის წინ „ენიმონტს“ 10 გამარჯვება აქვს, ცსკა-ს — 6, „ცრვენა ზვეზდას“, „ბანკო ექსტერიორსა“ და „ასტარაკს“ — 4-4, „ვისოკე შკოლის“ —1.

დაველოდოთ სექტემბერს

როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინიდან (ლოზანა, შვეიცარია) იუწყებიან, დამთავრდა 1996 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის განაცხადების მიღების ვადა. საკონკურსოდ დარჩა ექვსი პრეტენდენტი: ათენი (საბერძნეთი), ბელგრადი (იუგოსლავია), მანჩესტერი (ინგლისი), მელბურნი (ავსტრალია) და ტორონტო (კანადა).

სოკ-ის წარმომადგენელმა მიშელ ვერდიემ განაცხადა, რომ ამ ქალაქებმა ოფიციალური მოთხოვნის გარდა წარმოადგინეს დაწვრილებითი მოხსენებები თავიანთ შესაძლებლობათა შესახებ. ეს მოთხოვნები სულ მალე გამრავლდება და სოკ-ის ყველა 92-ვე წევრს დაეგზავნება. 1996 წლის ოლიმპიადა საიუბილეოა — პირველი თამაშები ხომ 1896 წელს ჩატარდა.

პრეტენდენტთა შორის რრი ქალაქი ერთხელ უკვე მასპინძლობდა ოლიმპიადას. ესენია ათენი და მელბურნი. საბერძნეთი ოლიმპიური თამაშების სამშობლოა და, ბუნებრივია, მის დედაქალაქს სურვილი აქვს 100-წლიანი იუბილის მთავარი მოქმედი პირი იყოს. მელბურნმა კი თამაშებს 1956 წელს უმასპინძლა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საბოლოო არჩევანს გააკეთებს წლეულს სექტემბერში, ტოკიოს სესიაზე.

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს გუნდები არ მონაწილეობენ სსრ კავშირის საფეხურთო ჩემპიონატში, მეათე ტირაჟში მე-6 წყვილად გამოცხადებული გუნდების „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) შედეგი განისაზღვრება წილისყრით.

„სოიუზსპორტლოტო“.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲬᲔᲠᲘ:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მარიკე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ᲨᲠᲝᲛᲘᲡ წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743